პასივში - კიდევ ერთი ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 17 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “კრილია სოვეტოვი (კუიბიშევი) 0:0.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა (რეხვიაშვილი), პეტრიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი, მესხი.

“კრილია სოვეტოვი”: აგურეევი, ბობილევი, გ. სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, გორშკოვი, მაიოროვი, ე. სახაროვი, სტარკოვი (გეცკო), კადიროვი, ჟუკოვი.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

თუ როგორ ითამაშებდა თბილისში “კრილია სოვეტოვი”, დიდი საიდუმლოება არ უნდა ყოფილიყო დინამოელთათვის. ამ გუნდს ლამაზ ფეხბურთზე არა აქვს პრეტენზია და არც სარისკოდ გაიხდის საქმეს. ქულა, ერთი ქულა _ აი, მისი დევიზი.

მართლაც, კუიბიშეველებს რაიმე სიურპრიზი არ მოუმზადებიათ ჩვენი გუნდისთვის. როგორც კი დაიწყებოდა მასპინძელთა იერიში, სტუმრების დაცვას სასწრაფოდ ემატებოდნენ წინა ხაზის მოთამაშეები და საჯარიმო მოედანთან 8-9-კაციანი “ბეტონი” მზად იყო.

ასეთი “ზედაცვის” წინააღმდეგ თბილისელებმა ორიგინალური ვერაფერი გამოძებნეს და თუმცა საერთო უპირატესობა მათ ჰქონდათ, მისი რეალიზებისთვის სწორი გზა არ იქნა გამონახული. შეტევა იყო შეჯგუფული, ქაოტური, თავდამსხმელები დრიბლინგით ცდილობდნენ გასვლას იქ, სადაც ეს შეუძლებელი იყო. ზედმეტად ატარებდნენ ბურთს მეტრეველი, მესხი, კარის სიახლოვეს არავითარ ხიფათს არ ქმნიდა ასათიანი, ხოლო ილიადი და კუტივაძე არაზუსტად აწვდიდნენ ბურთს. თუ არ ჩავთვლით ორიოდე სახიფათო მომენტს, სტუმართა დაცვამ მთლიანად უზრუნველყო თავისი კარის უშიშროება ისე, რომ მეკარე აგურეევს მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დადგომია.

თბილისელებმა საკუთარ მინდორზე კიდევ 1 ქულა დაკარგეს.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 18 აპრილი, 1967 წ.